

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N27

21.11.2018წ.

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე -*ალექსანდრე ლილუაშვილი*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი: -*ალექსანდრე ლილუაშვილი*, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარბეიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ჩიკვაძე, კობა ტოხვაძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, თამთა დვალიშვილი, თამარ შენგელია, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტყარაძე, ამირან ტალახაძე, შოთა გიორგაძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი. (დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - *ლუიზა ჯოგლიძე*.

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - *ლუბა გოგოძე*.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14:00 საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მუქედის N4-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის ავღანეთში საბრძოლო დავალების შესრულებისას დაღუპულ ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭების შესახებ“

მომხს./გიორგი ივანიაძე/

2.,,ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მუქედის N10-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის 2008 წელს შინდისის ბრძოლაში დაღუპულ მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ

მომხს./გიორგი ივანიაძე/

3.,,ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (619 ერთეული გარე განათების კონტრუქციის), დანართი N 1 შესაბამისად, შ.პ.ს „მაგთიკომი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სასყიდლით, პირობით გადაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

მომხს./ზვიად კაპანაძე/

4. სხვადასხვა

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ, წარმოადგინა განკარგულების პროექტი „,ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მუქედის N4-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის ავღანეთში საბრძოლო დავალების შესრულებისას დაღუპულ ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭების შესახებ“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა,ე“ ქვეპუნქტის , 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულსაზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის N12 სხდომის ოქმის შესაბამისად გადაწყდა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მუქედის N4-ე ქუჩას და ამავე ქუჩის პირველი ჩიხს მიენიჭოს ავღანეთში საბრძოლო დავალების შესრულებისას დაღუპულ ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვედა მუქედის N4-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის ავღანეთში საბრძოლო დავალების შესრულებისას დაღუპულ ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭების შესახებ“

(დანართი: განკარგულება N27 67).

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიორგი ივანიაძემ, წარმოადგინა განკარგულების პროექტი „...ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვედა მუქედის N10-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის 2008 წელს შინდისის ბრძოლაში დაღუპულ მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა,ე“ ქვეპუნქტის , 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულსაზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის N12 სხდომის ოქმის შესაბამისად გადაწყდა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვედა მუქედის N10-ე ქუჩას და ამავე ქუჩის პირველი ჩიხს მიენიჭოს შინდისის ბრძოლაში დაღუპული მიხეილ დვალიშვილის სახელი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭვედა მუქედის N10-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის 2008 წელს შინდისის ბრძოლაში დაღუპულ მიხეილ დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“

(დანართი: განკარგულება N27 66).

მოისმინეს: დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მალხაზ მამასახლისმა (მომხსენებლის ზვიდ კაპანაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (619 ერთეული გარე განათების კონტრუქციის), დანართი N 1 შესაბამისად, შ.პ.ს „მაგთიკომი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სასყიდლით, პირობით გადაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ შესაბამისი მუხლების თანახმად ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა, შ.პ.ს „მაგთიკომს“ იჯარით, პირობითი გადაცემისა და ქირის წლიური ფასის გადახდით გადასცეს 619 ერთეული გარე განათების ბოძები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 21

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ. ვანში, არსებული უძრავი ქონების, ხაზოვანი ნაგებობების (619 ერთეული გარე განათების კონტრუქციის), დანართი N 1 შესაბამისად, შ.პ.ს „მაგთიკომი“-ისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით სასყიდლით, პირობით გადაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრულ ოდენობაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.“

(დანართი: განკარგულება N27 68).

დღის წესრიგით წარმოდგენილ მე-4 -ში „სხვადასხვა“ საკითხები არ განხილულა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.



ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე